№2503 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №39 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მე-4 მუხლის, მე-7 და მე-8 მუხლების, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის „ა.დ“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტების, მე-10 და მე-12 მუხლების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ,,საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 4 749 885 (ოთხი მილიონ შვიდას ორმოცდაცხრა ათას რვაას ოთხმოცდახუთი) ლარი, მათ შორის:

ა) 3 089 240 (სამი მილიონ ოთხმოცდაცხრა ათას ორას ორმოცი) ლარი - სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ სახეობებში გამართულ სპორტულ

შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო პერსონალისა და შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციული ჯგუფის წახალისების მიზნით (№ 1 დანართის თანახმად);

ბ) 204 000 (ორას ოთხი ათასი) ლარი - მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ,,ნანჯინგი 2014“-ის თითოეულ ლიცენზირებულ მონაწილეზე შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციებისათვის თანხის გაცემის მიზნით (№2 დანართის თანახმად);

გ) 156 400 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი - მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ,,ნანჯინგი 2014“ მიღწეული შედეგისათვის სპორტმენთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის წახალისების მიზნით (№3 დანართის თანახმად);

დ) 865 045 (რვაას სამოცდახუთი ათას ორმოცდახუთი) ლარი - სპორტის ინდივიდუალურ არაოლიმპიურ სახეობებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის წახალისების მიზნით (№4 დანართის თანახმად);

ე) 435 200 (ოთხას ოცდათხუთმეტი ათას ორასი) ლარი - სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მიზნით (№5 დანართის თანახმად).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გამოყოფილი თანხის ფარგლებში:

ა) სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში გუნდურ და პირად-გუნდურ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისათვის და სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ სახეობებში ეროვნული სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციული ჯგუფისა და სპორტის ცალკეული სათამაშო სახეობებისათვის განსაზღვრული თანხები, გადანაწილდეს შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადებების საფუძველზე;

ბ) სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში საექიმო პერსონალისათვის განსაზღვრული თანხები გადანაწილდეს ა(ა)იპ - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის მიერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**